



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზენითის განძები

ზენითის განძები, კოლხური კულტურის ძეგლები, აღმოჩენილი სხვადასხვა დროს სოფ. ზენითში (ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი). 1. ძვ. წ. XVI-XIV სს. ბრინჯაოს 3 ცული, რ-ებიც კოლხური ცულების პროტოტიპებიდან კოლხურ ცულებზე გარდამავალ სახეს წარმოადგენს. აღმოჩნდა 1926; 2. ძვ. წ. XIII-XII სს. ბრინჯაოს წალდი და 3 თოხი. აღმოჩნდა 1935; 3. ძვ. წ. XII-XI სს. სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთები (1 ცული, 4 ცულის ნატეხი, 1 წალდი, 4 თოხი, თოხის ნატეხები, 4 სეგმენტისებური იარაღი, 1 სატევრის ნატეხი, ნამგლის ნატეხები, ზოდები, აგრეთვე რკინის დანები, ცულები და თოხები) მოთავსებული იყო სანთლით დაგმანულ თიხის ჭურჭელში. აღმოჩნდა 1926, 1929 შეისწავლა ა. იესენმა. სამივე განძი დაცულია აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., კოლხური ცული, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16B; И е с с е н А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, «Известия Гос. академии истории материальной культуры», 1935, в. 120.

ა. რამიშვილი

ლ. ფანცხავა
